

ეროვნული პროფესიული საბჭოს 2010 წლის მეორე ნახევრისა და

2011 წლის პირველი ნახევრის მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2010 წლის მეორე ნახევარსა და 2011 წლის პირველ ნახევარში ეროვნული პროფესიული საბჭოს მუშაობა წარიმართა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის პრიორიტეტების შესაბამისად.

2010 წლის მეორე ნახევარში გაიმართა ეროვნული პროფესიული საბჭოს 5 შეხვედრა, აქედან - 2 გაფართოებული სხდომა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

2010 წლის 10 სექტემბრის სხდომაზე საბჭომ განიხილა და დადებითად შეაფასა შემდეგი დოკუმენტების პროექტები:

- ა) პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო
- ბ) პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხა,
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის პროექტი,
- დ) პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების ხედვის ანალიზი;
- ე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის პროექტი.

ამავე სხდომაზე საბჭომ განსაზღვრა თემატური ჯგუფების სამუშაო მიმართულებები და დაასახელა თემატური ჯგუფების მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები.

- 1) თემატური ჯგუფი №1: პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა (დავით კერესელიძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი);
- 2) თემატური ჯგუფი №2: ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში (დავით კერესელიძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი);
- 3) თემატური ჯგუფი №3: პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში (მიხეილ კორძაძია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი);

- 4) თემატური ჯგუფი №4: პროფესიული განათლების მონიტორინგი (გოგა გულუა - ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სტატისტიკურ ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი);
- 5) თემატური ჯგუფი №5: მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (თეა კვინტრაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე);
- 6) თემატური ჯგუფი №6: პროფესიული განათლების დაფინანსება (გიორგი ჩახნაშვილი - განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე).

10 სექტემბრის სხდომაზე საბჭომ ასევე განიხილა საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობა შემდეგ დოკუმენტებში:

- ა) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის დადგენილებაში „სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #1022 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოს შემადგენლობის შეცვლა;
- გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 21 ნოემბრის #342 ბრძანებით დამტკიცებული “სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიაში“;
- დ) პროფესიული განათლების კონცეფციაზე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 აგვისტოს #150 დადგენილების აქტუალობის განხილვა და ახალი კონცეფციის ჩამოყალიბების მიზანშეწონილობა.

ეროვნული პროფესიული საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა 2010 წლის 19 ნოემბერს, სადაც განხილულ იქნა ორი ძირითადი საკითხი:

1. პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხა - კლასიფიკატორი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტი.

კლასიფიკატორის პროექტი საბჭოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული და რეკომენდაცია გაეწია დასამტკიცებლად, ხოლო მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან დაკავშირებით გამოითქვა აზრი, რომ ვინაიდან ეს არის პირველი განხილვა, დოკუმენტი უნდა განთავსდეს ვებ-გვერდზე და უნდა დაიწყოს საჯარო განხილვა. განხილვის პროცესში მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების, განსაკუთრებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა მონაწილეობა.

ამავე სხდომაზე საბჭოს წევრთა მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კარიერის დაგეგმვის საკითხებზე მომუშავე თემატური ჯგუფის ჩამოყალიბები შესახებ.

2010 წლის 9 დეკემბერს სასტუმრო „რედისონ-ბლუ ივერიაში“ გაიმართა ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა სადაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წარმოადგინა პროფესიული განათლების რეფორმის შუალედური სტრატეგიის განხორციელების ანგარიში, ასევე, პროფესიული განათლების რეფორმაში ჩართულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს ანგარიშები განხორციელებული პროექტების შესახებ.

2010 წლის 27 დეკემბერს გამართულ სხდომაზე საბჭომ მოისმინა მონიტორინგის თემატური ჯგუფის ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ. კერძოდ, საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზის სტრუქტურაზე, იმ ძირითად მონაცემებზე, რომელსაც უნდა შეიცავდეს ბაზა: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური და ადამიანური რესურსები, საგანმანათლებლო პროგრამები, საკვალიფიკაციო გამოცდები და სხვ. ასევე, საბჭოს წევრები გაეცნენ სქემას, თუ როგორ მოხდება მონაცემთა შეკრება და დამუშავება, როგორ იქნება უზრუნველყოფილი სტატისტიკური მონაცემების საჯაროობა და ა.შ.

სხდომაზე მეორე საკითხად კიდევ ერთხელ იყო წარმოდგენილი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2010 წლებისათვის) შესატანი ცვლილებების პროექტი.

2010 წლის 30 დეკემბერს საქართველოს უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის ფორმატში გაიმართა წლის შემჯამებელი პროფესიული სამიტი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, პროფესიული კავშირები და

ასოციაციები, ცალკეული ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. სამიტზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ქ-ნი ირინე ქურდაძის მიერ შეჯამდა წლის ძირითადი სიახლეები პროფესიული განათლების მიმართულებით. კერძოდ, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, ჩამოყალიბდა კვალიფიკაციების ჩარჩო, შემუშავდა პროფესიული სტანდარტები, მომზადდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ჩარიცხვის წესი, პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და სხვ.

ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რეფორმა უნდა გაგრძელდეს საზოგადოების მხარდაჭერით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კიდევ ერთხელ მოუწოდა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას, პარტნიორ ორგანიზაციებს, დაინტერესებულ პირებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ პროცესში.

ეროვნული პროფესიული საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა 2011 წლის 30 მაისს.

1. სხდომაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხებზე მომუშავე თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის კორექტირებული ვერსია. ასევე, საბჭოს წევრებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია საქართველოს რეგიონებში მდებარე კოლეჯებში ვიზიტებისა და სტანდარტის საჯარო განხილვების შესახებ. საბჭომ რეკომენდაცია გაუწია სტანდარტის დამტკიცებას.
2. სოციალური პარტნიორობის თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია. საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს სოციალური პარტნიორობის განვითარების მიმართულებით არსებული ტენდენცია და საჭიროდ მიიჩნიეს დოკუმენტის ვებ-გვერდზე განთავსება და საჯარო განხილვების დაწყება, მათ შორის ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის მოწვევა აღნიშნული დოკუმენტის განსახილველად.
3. ხარისხის განვითარების თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება-მოთხოვნის ანალიზი.

2011 წლის 16 ივნისის სხდომაზე ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ გააგრძელა თემატური სამუშაო ჯგუფების ანგარიშების მოსმენა. კერძოდ,

1. ხარისხის განვითარების თემატური ჯგუფმა წარმოადგინა ინფორმაცია, თუ როგორია საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების პოლიტიკა.
2. დაფინანსების თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა პროფესიული განათლების დაფინანსების პოლიტიკა;
3. კარიერის დაგეგმვის თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა ანგარიში და რეკომენდაციები პროფესიულ კოლეჯებში კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მომსახურების განვითარების შესახებ;
4. საბჭოს სხდომაზე ასევე განხილულ იქნა პროფესიული განათლების საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია;
5. ამავე სხდომაზე კიდევ ერთხელ იქნა წარმოდგენილი და განხილული პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (პროფესიული განათლების შუალედურის სტრატეგია 2009-2012) შესატანი ცვლილებები

2011 წლის 28 ივნისსა და 7 ივლისს გამართული ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომები მთლიანად მიეძღვნა პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის გაღრმავებისა და განვითარების საკითხებს.

28 ივნისს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ შეხვედრაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ წარმოადგინეს მოსაზრებები პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის როლის შესახებ.

ამავე სხდომაზე პროფესიული კოლეჯებისა და დამსაქმებლების მიერ გაკეთდა მოხსენებები ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკის შესახებ, ხოლო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) მიერ წარმოდგენილ იქნა ხედვა სოციალური დიალოგის შესახებ.

გაფართოებულ სხდომაზე ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატურმა ჯგუფმა წარმოადგინა პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტი. გადაწყდა, რომ დოკუმენტის განხილვებში და კორექტირებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე, თემატურმა ჯგუფმა უნდა გამართოს დამატებითი შეხვედრები და

კონსულტაციები, უნდა გაიწეროს სოციალურ პარტნიორთა კონკრეტული პასუხისმგებლობები, დოკუმენტმა უნდა მიიღოს უფრო ქმედითი სახე.

2011 წლის 7 ივლისს, პროფესიულ კოლეჯ „იკაროსში“ გაიმართა ეროვნული პროფესიული საბჭოს მორიგი გაფართოებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, დამსაქმებლები, პროფესიული კავშირებისა და ასოციაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

აღნიშნულ სხდომა მთლიანად დაეთმო პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში სამმხრივი დიალოგის როლის განსაზღვრას, დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ წარედგინა სოციალური პარტნიორობის თემატური ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნა ჩამოყალიბებული ყველა ის ვალდებულება, რაც პროცესში ჩართულ მხარეებს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროფესიული კავშირებს, მათ გაერთიანებებსა და დამსაქმებლებს ევალებათ პროფესიული განათლების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

სხდომის მონაწილე მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმ ფაქტის გამო, რომ პირველად, საგანმანათლებლო სფეროს რეფორმის პროცესში, გაჩნდა პრეცედენტი და ინიციატივა, რომ დოკუმენტურად დადასტურდეს სახელმწიფოს, პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებლების ნება - განსაზღვრონ საკუთარი უფლებამოსილებები და მჭიდროდ ითანამშრომლონ პროფესიული განათლების სფეროს განვითარების ყველა ეტაპზე.

სხდომის დასასრულს გაფორმდა სამმხრივი შეთანხმება პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა - ბ-ნმა დიმიტრი შაშკინმა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა - ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ და საქართველოს პროფესიული კავშირების თავმჯდომარემ - ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა.